

## Making Science ქართული ციფრული სააგენტო ELLIOT-ის შესყიდვის შედეგად საერთაშორისო ბაზრების ათვისებას განაგრძობს

- კომპანიამ დაასრულა ციფრული მარკეტინგის სააგენტო ELLIOT-ის შესყიდვა და განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, იმატებს გუნდის ახალ წევრებს - ციფრული მარკეტინგის უნარებისა და გამოცდილების მქონე 30 პროფესიონალს.
- შესყიდვა დამატებით ნახევარი მილიონი ევროს შემოსავალს მოიტანს 2022 წელს.

**მადრიდი, 28 იანვარი 2022წ.** – დღეს Making Science-მა დააანონსა [ELLIOT](#)-ის, საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ციფრული მარკეტინგის სააგენტოს შესყიდვა და მიზნად დაისახა მარკეტინგული აქტივობების გაფართოება ახალ ბაზარზე, სადაც სააგენტოს უკვე აქვს მყარი პოზიციები.

აღნიშნული გარიგება იმ გაფართოების სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც კომპანია 2020 წლის შემდეგ ახორციელებს, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე. ეს კომპანიისთვის წლის პირველი კორპორატიული ოპერაციაა, რომელიც საქართველოში Making Science-ის შვილობილმა კომპანიამ Sweeft Digital-მა განახორციელა.

მოსალოდნელია, რომ 2022 წელს ELLIOT ნახევარი მილიონი ევროს შემოსავალს მოიტანს და კომპანიის EBITDA-ს შემატებს. გარდა ამისა, ინტეგრაციის პირველივე წელს, გარიგებას ჩვენს პროექტებზე პოზიტიური გავლენა ექნება.

შესყიდვის შედეგად, Making Science განაგრძობს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალების გაერთიანებას და იმატებს 30 თანამშრომელს, რაც საგულისხმოა იმ პირობებში, როდესაც ციფრულ სექტორში გამოცდილ სამუშაო ძალაზე არსებული მოთხოვნა ასეთი მაღალია. შესაბამისად, ELLIOT-თან ერთად Making Science აგრძელებს გლობალურ გაფართოებას ციფრული ინდუსტრიის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ციფრული მარკეტინგი, კრეატივი, მონაცემთა კონფიგურაცია, კამპანიების ოპტიმიზაცია და სხვა.

ხოსე ანტონიო მარტინეზ აგილარი, Making Science-ის CEO:

„ჩვენ ვინყებთ წელს ისეთივე შემართებით, როგორითაც დავხურეთ 2021. ფსონს ვდებთ ციფრული სფეროს ტალანტებზე, დივერსიფიცირებასა და გაფართოებაზე. მივყვებით ჩვენს ბიზნეს სტრატეგიას და გვჯერა, რომ ELLIOT-ის შესყიდვა გააძლიერებს ჩვენს მარკეტინგული ოპერაციების აუტოსორსინგს და გაზრდის გლობალურ შესაძლებლობებს.“



**Making Science** არის ტექნოლოგიური და ციფრული მარკეტინგის კონსულტანტი, რომელიც სპეციალიზირებულია e-commerce-სა და ციფრულ ტრანსფორმაციაში. მისი ბიზნეს მოდელი ეხმარება კომპანიების საჭიროებას სრულად გააფართოვონ პროცესები, განსაკუთრებით კი მარკეტინგის მიმართულებით. **Making Science** ყველა ძირითად, სწრაფად მზარდ მიმართულებაში ოპერირებს - ციფრული რეკლამა, მონაცემთა ანალიზი, e-commerce და cloud. **Making Science** ჯგუფი ამჟამად ასაქმებს 800-ზე მეტ ადამიანს და წარმოდგენილია 10 ქვეყანაში: ესპანეთი, პორტუგალია, მექსიკა, კოლუმბია, საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი, ირლანდია, აშშ და საქართველო.

2019 წელს, მადრიდის სავაჭრო პალატის მიერ კომპანიას მიენიჭა წლის SME ნოდება. **Entrepreneur of the Year** დაჯილდოების ფარგლებში, კომპანიამ ასევე მიიღო C.R.E.C.E ჯილდო **Ernst and Young-სგან**. **Financial Times**-ის მიერ მომზადებული **FT1000: Europe's Fastest-Growing Companies 2021** ფარგლებში კომპანიამ 71-ე პოზიცია მოიპოვა და ევროპის პირველი სწრაფად მზარდი ორგანიზაციაა მარკეტინგისა და გაყიდვების სექტორში. **Making Science** ასევე უერთდება **Pledge1%** ინიციატივას და მხარში უდგას საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ჩვენი საზოგადოების მომავალზე.

## **Making Science**

Mónica González, Director of Marketing and Communication - [monica.gonzalez@makingscience.com](mailto:monica.gonzalez@makingscience.com) T. 91 309 02 09

## **Making Science Communications Office**

Gerard Muñoz | [germunoz@kreab.com](mailto:germunoz@kreab.com) | T. 691 434 543

Elena Moreno | [emoreno@kreab.com](mailto:emoreno@kreab.com) | T. 654 073 131

Jose Luis Gonzalez | [jlgonzalez@kreab.com](mailto:jlgonzalez@kreab.com) | T. 691 434 543

Sonia Gil | [sgil@kreab.com](mailto:sgil@kreab.com) | T. 654 073 131